პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 მაისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 88 (9499) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მონაგარი

# იმრავლოს...

**წლევანდელი** თებერვალი და მარტი საკავშირო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების სიმრავლით გამოირჩეოდა. უკვე ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატები და ის საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს, თასების გათამაშებას უძღოდა წინ, ამიტომ აპრილის კალენდარი შედარებით „ღარიბი" აღმოჩნდა.

**ჩვენი** სპორტსმენებიდან ყველაზე დიდ წარმატებას თბილისელმა წყალში მხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ მიაღწია. გიორგიმ წლევანდელ სეზონში მრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი, რისთვისაც მსოფლიო თასის გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის წყალში მხტომელთა ნაკრების ღირსების დაცვა ანდეს. განთიადელმა სპორტსმენმა კარგად იასპარეზა ჰოლანდიის ქალაქ ამერსფორტში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაშიც — კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ჩოგოვაძემ ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელთაგან პირველმა მიაღწია ასეთ წარმატებას მსოფლიო თასის გათამაშებაში.

**საქართველოს** ცხენოსნები ბოლო წლებში ერთგვარად ჩამორჩნენ. ამიტომ გაგვახარა გუდაუთელი მხედრის ხარლამ სიმონიას გამარჯვებამ საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა. სიმონიამ ცხენოსნობის ერთ-ერთ ურთულეს სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღო და საკავშირო თასი დაისაკუთრა, თანაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი გაიმეორა.

**წინათ** ნიჩბოსნობაში მნიშვნელოვან წარმატებას ჩვენი თითო-ოროლა სპორტსმენი თუ აღწევდა, ბოლო წლებში მათი ნადავლი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ შარშან კახა ლომიშვილი ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ჩვენც იმედი მოგვეცა.

ლომიშვილი ამ იმედს გვიმართლებს. აპრილში ოდესაში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება საბაიდარო ნიჩბოსნობაში. ამ შეჯიბრებაზე მან ოთხადგილიანი ნავით 500 მეტრზე ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა (მერე ეს შეჯიბრება უამინდობის გამო მოსკოვში გაგრძელდა და კახა ლომიშვილმა, ამჯერად უკვე მაისში, მესამე ადგილი დაიკავა).

იხ. მე-2 გვ.



**გუშინ**

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა — 86:74 (44:31).

მეცხრე და მეათე ტურების სხვა მატჩების ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე.

საქართველოს თასის გათამაშება აკრობატიკაში

# ფინალს მონაწილეები დააკლდა



...ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი. ილია გოგორიშვილი.

**სპორტული** აკრობატიკის პროგრამა დღეს იმდენად გართულდა, რომ თუ შარშანწინ საკავშირო ჩემპიონატის ფინალში 10 უმაღლესი ჯგუფის ელემენტები სრულდებოდა, იგივე ვარჯიში ახლახან ბათუმში გამართულ საქართველოს თასის გათამაშების ფინალში მოსახვედრადაც კი აღარ კმაროდა. დასკვნით ეტაპზე მონაწილეებს უმაღლესი ჯგუფის 16 ელემენტი უნდა შეესრულებინათ. გართულებული პროგრამა ყველამ ვერ დაძლია. ვაჟთა ჯგუფურ და ქალთა წყვილთა ვარჯიშებში ფინალის საგზური მხოლოდ თითო მონაწილემ მოიპოვა; მხტომელი ქალებიდან ეს მიჯნა ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ გადალახა, თუმცა კი ოსტატობის პროგრამით ხუთნი გამოდიოდნენ. ფინალში გასულთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, შეჯიბრებაში მონაწილეობა რომ მიეღოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონებს ჯგუფურ ვარჯიშში — ვახტანგ ბოტკოველს, გოდერძი ახობაძეს, ოლეგ სლივკოვს, გია ალაპიშვილს და მხტომელ ფატი სულაქველიძეს. არც ჩვენი უძლიერეს ქალთა სამეული და წყვილი გამოსულა — ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკარიჩევა; ნატალია ვეტოშკინა და მზია კოსტავა.

ფინალურ ასპარეზობაში ყველაზე მეტი მონაწილე ვაჟ მხტომელებში გამოვიდა. აქ ძირითადი ბრძოლა გაიმართა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გია მარმარაშვილს (მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი) და მასზე 5 წლით უმცროს ჯონდო მარიდაშვილს შორის. აქვე უნდა ითქვას, რომ გია ვოლკოვის საერთაშორისო

იხ. მე-4 გვ.



თბილისის 140-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საბაზო ორგანიზაციის — სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქარხანა „მიონის" საცურაო აუზში ვარჯიშობენ 140-ე და 79-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენები. აქვე გახსნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფები ცურვის მოყვარულთათვის.

სურათზე: მწვრთნელი ალექსანდრე ტყემალაძე ამეცადინებს 140-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს.

ბონდო დვალიშვილის ფოტო.

## კვირიდან კვირამდე

**„პრავდა" — 27 აპრილი.** წერილში „მთებზე უკეთესი მთებია" ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ს. მეშკოვი მოგვითხრობს საბჭოთა ალპინისტების შესახებ, რომლებიც ემზადებიან კანჩენჯანგის ოთხი რვაათასიანის ტრავერსისთვის.

**„იზვესტია" — 1 მაისი.** „პროლოგის შემდეგ". ცნობილი საფეხბურთო მიმომხილველი ლევ ფილატოვი ესაუბრება მკითხველებს საბჭოთა ნაკრებისა და საკლუბო გუნდების შესახებ.

**„სოვეტსკი სპორტი" — 28 აპრილი.** „პარკეტის ფიზკულტურის ნაყოფი". სასკოლო ფიზკულტურის პრობლემებზე გვესაუბრება მოსკოვის 74-ე სკოლის ფიზკულტურის მეთოდისტ-მასწავლებელი ბ. დრობინი. **1. მაისი.** „როგორ ვუძლებთ ბედის დარტყმებს?" გაზეთის კორესპონდენტის იური ვასილიევის ინტერვიუ გაზეთ „იზვესტიის" საერთაშორისო მიმომხილველთან და სპორტის დიდ გულშემატკივართან მელორ სტურუასთან; გაზეთის ამავე ნომერში წაიკითხავთ წერილს „ამერიკა: რა დავტოვეთ ოკეანის გაღმა?" საბჭოთა თავისუფალი სტილით მოჭიდავეების სახით უბრალო ამერიკელებმა თავიანთ ქვეყანაში კეთილი ნების წარგზავნილები იხილეს. **2 მაისი.** „ჩვენს თეატრში პოპულარობით მაგიდის ჩოგბურთი სპორტის მეორე სახეობაა ფეხბურთის შემდეგ" — ამბობს ცნობილი მსახიობი ალექსანდრე აბდულოვი წერილში „თამაშის უმაღლესი აზრი".

## სპორტსაზოგადოებათა პირველობებზე

ამ დღეებში ორ საკავშირო ტურნირში იასპარეზეს სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. კრასნოდონში, „ახალგაზრდა გვარდიელის" პრიზის გათამაშებაზე უმძიმეს წონაში მეორე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა გელა პაპაშვილმა. ივანოვოში, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირზე პირველ ადგილებზე გავიდნენ ხვიჩა გვარამაძე (47 კგ) და ზვიად შევარდენიძე (56 კგ), მეორე ადგილი დაიკავა ზაზა ნადირაძემ, მესამე — ალეკო ბურდულმა, ირაკლი ნასყიდაშვილმა და მუსლიმ ზამანოვმა.

ყოველწლიურად იმართება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ყრუთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში. ახლახან ლვოვში გამართულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა რსფსრ-ს გუნდის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მეექვსედ მოიპოვა ყრუთა საზოგადოების თბილისის სასწავლო საწარმოს მუშამ მიხეილ ქალივაძემ (68 კგ). ოქროს მედალს დაეუფლა აგრეთვე ნიკოლოზ ბაპორიკეცი (130 კგ), ვერცხლის მედლები მიიღეს ვალერი კარიბოვმა (62 კგ), რამინ ფოლადაშვილმა (82 კგ) და იური გოგუაძემ (100 კგ). ბრინჯაოსი ვლადიმერ პლიევმა (74). ექვსივე პრიზიორი ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს.

დღეს, 6 მაისს, 14 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს სააქტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. 19) გაიმართება რესპუბლიკის პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოების გაერთიანებული პლენუმი, რომელიც განიხილავს საკითხს: „პროფკავშირების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმისა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ პროფკავშირების XVIII ყრილობების მოთხოვნათა მიხედვით".

## 9 და 10 მაისს

რბენა – ესტაფეტა! ვინც ერთხელ მაინც დამდგარა სტარტზე, მას არასდროს დაავიწყდება ის ამაღლებული გრძნობა, სიხარული, რასაც ადამიანს ამ ღონისძიებაში მონაწილეობა ანიჭებს.



9 და 10 მაისს მთელს ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება რბენა-ესტაფეტების როგორც გამაჯანსაღებელი, ისე სპორტული ღონისძიებები.
რბენის მოყვარულები კვლავაც მზად არიან დაამტკიცონ ერთსულოვნება. ისინი გამოვლენ სტადიონებზე, ქუჩებში, გზებზე, პარკებში, ყველგან, სადაც კი ნაცნობ-მეგობრებთან თუ ოჯახის წევრებთან ერთად მუხლის გაშლა შეიძლება. მზად უნდა იყვნენ სპორტის ორგანიზატორებიც. ამ ღონისძიებათა საზეიმო ელფერი და მასობრიობა დიდად იქნება დამოკიდებული მათს უნარზე და საქმისადმი გულიან დამოკიდებულებაზე.
(მასობრივი სტარტების მოწყობის თაობაზე ადგილებზე დამატებით შეტყობინებას ზემდგომი სპორტული ორგანიზაციებიდან აღარ მიიღებენ).

## თვის მონაგარი

# იმრავლოს...

დასასრული

ჩვენმა გამოჩენილმა მოჭადრაკეებმა ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა იოსელიანმა კვლავ გვასახელეს. ნონამ და ნანამ საფრანგეთის ქალაქ იერში გამართულ მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში ორი ტურით ადრე გაინაღდეს საპრიზო ადგილები. საბოლოოდ გაფრინდაშვილმა ყველას აჯობა, იოსელიანი კი მეორე ადგილზე გავიდა.

რუდიკ კაზანჯიანმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ მოკრივეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. 48 კგ წონით კატეგორიაში თბილისელმა მოკრივემ ყველა მეტოქე დაამარცხა და გაიმარჯვა.

წლევანდელ სპორტულ სეზონში კვლავ კარგად გამოდის თბილისელი ნინო სალუქვაძე. მარტის თვის მონაგარი მან ევროპის იუნიორ ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში მოპოვებული ოქროს მედლით გაამდიდრა, აპრილში კი ბულგარეთში გამართულ მეგობრული არმიების ჩემპიონატშიც გამოიჩინა თავი და პისტოლეტით სროლაში ორი ჯილდო მოიპოვა — „პპ-2“ ვარჯიშში ჩატარებულ გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის არმიელთა ნაკრების წევრებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო „მვ-5“ ვარჯიშში (პირად პირველობაში) მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ნინომ მონაწილეობა მიიღო სოხუმში გამართულ საკავშირო პირველობაშიც. აქ მან „მპ-10“ ვარჯიშში მეორე, „პპ-2“ ვარჯიშში კი მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენმა სპორტსმენებმა თავი ისახელეს ოდესაში გამართულ მესტენდურეთა საკავშირო თასის გათამაშებაშიც. სახანგრე სტენდზე სროლაში მეორე იყო თბილისელი არჩილ საბედაშვილი, რომელმაც 208 სამიზნე დააზიანა.

საინტერესოა, რომ კიეველმა ალექსანდრე მანკოვმაც იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც საბედაშვილმა, მაგრამ დახვრეტით სერიაში უკრაინის წარმომადგენელმა იმარჯვა და გამარჯვებულადაც იგი აღიარეს.

ამ ასპარეზობაში თბილისელმა შოთა თავაძემ სახანგრე სტენდზე ჯგუფურ სროლაში მეორე ადგილი დაიკავა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი კოსმონავტის ვიაჩესლავ ვოლკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი აკრობატთა საერთაშორისო ტურნირი. წლევანდელ ასპარეზობაში ათი ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის იყო თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გია მარმარაშვილი. გიამ პრესტიჟული ტურნირის პროგრამის ერთ-ერთ სახეობაში — ინდივიდუალურ ხტომებში, ყველას აჯობა.

ოთარ მჭედლიშვილმა მოსკოვში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე 200 მეტრზე გიტში (სვლით) სულ რაღაც 2 მეასედი წამით უარესი შედეგი აჩვენა გამარჯვებულზე (ნ. კოვში, მოსკოვი). თბილისელმა სპორტსმენმა მეორე ადგილი დაიკავა.

თბილისის საერთაშორისო შეჯიბრება მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეებისთვის მეტად მძიმე გამოცდა იყო, რადგან მათ ექვსი დღის განმავლობაში ცუდ ამინდში უხდებოდათ გამოსვლა. ამიტომ იყო, 62 ველოსიპედისტიდან რბოლა მხოლოდ 45-მა რომ დაამთავრა. მძიმე გამოცდა კარგად ჩააბარა თბილისელმა არმიელმა გენადი გოდუნოვმა — მან პირველი ადგილი დაიკავა.

აპრილში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა უმასპინძლა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ასპარეზობას, რომელიც ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზზე ჩატარდა. შეჯიბრებაში კანადის, იუგოსლავიის, იტალიის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებთან ერთად საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

სახტუნელათი და ლენტით ვარჯიშში უძლიერესი იყო თბილისელი ირმა ყიფშიძე, გურზებით ვარჯიშში — მისი თანაგუნდელი ნატო ლეშკაშელი.

მრავალჭიდში ლეშკაშელი მეორე იყო, ყიფშიძემ მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისში ჩატარდა კიდევ ერთი საერთაშორისო შეჯიბრება — იუნიორ ჩოგბურთელთა ტურნირი.

ჩვენი სპორტსმენებიდან ამ შეჯიბრებაში თავი ისახელა თბილისელმა დავით კაჭარავამ. დავითმა წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა, ხოლო ერთეულთა შორის მეორე იყო. წყვილთა თანრიგში მესამე ადგილზე მისი თანაგუნდელი დავით კვარაცხელია გავიდა.

კარგად დაწყებულ სპორტულ სეზონს ალმავლობით აგრძელებენ ჩვენი ძიუდოისტები. ქალაქ მაიასენში გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, ყველას აჯობეს თბილისელებმა გიორგი ადიბეგოვმა (87 კგ-მდე) და ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა (83 კგ-ს ზევით), სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ კი მესამე ადგილი დაიკავა.

ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა სამბისტებმა. თბილისელი ზაქრო ებელაშვილი (87 კგ) და საგარეჯოელი ალექსი მირზაშვილი (81 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ჩვენმა კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა (1969-70 წლებში დაბადებულები) მოსკოვში გამართულ საუწყებო საკავშირო შეჯიბრებაში სამივე ხარისხის მედლები მოიპოვეს. 88 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა ქუთაისელმა გოგიტა კოლუაშვილმა („დინამო“), ამავე წონაში მესამე იყო თბილისელი რამაზ გაღაბაძე („ბურევესტნიკი“), 58 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი ხვდა სამტრედიელ აკაკი ჩაჩუას („განთიადი“).

და მაინც, სპორტული აპრილის გვირგვინი გიორგი ჩოგოვაძის მიერ მსოფლიო თასის გათამაშებაში მოპოვებული წარმატება იყო. წინაა მსოფლიოსა და ევროპის პირველობები. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი სპორტსმენების წარმატებები იმრავლებს.

# „იმედი“

**თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში 1970 წელს შეიქმნა სპორტული კლუბი, რომელსაც „მშენებელი“ დაარქვეს. მას შემდეგ ტექნიკუმის სპორტული მიღწევები თვალსაჩინოდ გაიზარდა და დღეს „მშენებელი“ ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია.**

„მშენებელი“ მუშაობაში ეყრდნობა ტექნიკუმის აქტივს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, მათ წარმომადგენლებთან ერთად ატარებს სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას, ხელმძღვანელობს სპორტული სექციების მუშაობას. ახლახან ტექნიკუმში დაარსდა რბენისა და სიარულის მოყვარულთა კლუბი „იმედი“ (თავმჯდომარე — დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში ჯიმი ბრომელი). კლუბის წევრები (თანამშრომლები, მასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზრდობა) იანვრიდან შეუდგნენ ვარჯიშს. ისინი ტექნიკუმთან ახლომდებარე სკვერში და ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე (ორჯონიკიძის ქუჩა) იკრიბებიან სავარჯიშოდ, კლუბის წევრთა ერთი ნაწილი კი დამოუკიდებლად მეცადინეობს.

წელს საქართველოში პირველად გაიმართა რესპუბლიკის ჩემპიონატი საგზატკეცილო რბენაში. „იმედის“ წევრებმა უკან ჩამოიტოვეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტის გუნდები და საერთო გუნდურ პირველობაში III ადგილი დაიკავეს.

არის სიახლეც. ახლახან ტექნიკუმში გაიხსნა ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ოთახი.

კლუბთან მუშაობენ აგრეთვე სამკურნალო-სპეციალური მოსამზადებელი და საერთო გამაჯანსაღებელი ჯგუფები. აქტივს დიდ დახმარებას უწევს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტიც, სადაც გამოფენილია ბროშურები, ფოტოსურათები, დიაგრამები.... აქვე ეწყობა სასწავლო-დოკუმენტური ფილმების ჩვენება.

„იმედი“ ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარებას აპირებს. კლუბის წევრთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.

**კარლო სალუქვაძე.**

ავტორის ფოტოები.





მასობრიობიდან ოსტატობისკენ

# შეჯიბრება, რომელიც ზეიმად იქცა

**მაინც** რით უნდა იზიდავდეს მაყურებელს სპორტული შეჯიბრება? რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მონაწილეთა ოსტატობით, და იმით, როგორაა იგი ორგანიზებული. სპორტის მოყვარული არ უნდა გავაწბილოთ — შეჯიბრება დროზე უნდა დაიწყოს, მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს მსაჯთა კოლეგია, გამართულად მუშაობდეს სამდივნო, თვალს უნდა ხიბლავდეს სპორტსმენთა ჩაცმულობა და ა. შ. შეგიმჩნევიათ, ალბათ, როგორ უკარგავს ელფერს ასპარეზობას, განსაკუთრებით გუნდურ შეჯიბრებას, სხვადასხვა ფერის, დიდი ზომის სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი სპორტსმენების გამოსვლა.

თბილისის მოსწავლეთა 43-ე სპარტაკიადის ფრენბურთელთა ტურნირი იმითაც იყო გამორჩეული, რომ აქ ყველაფერი თავის ადგილზე იდგა. შეჯიბრების ორგანიზატორებს — ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ხელმძღვანელობას არც იმის გამო გასჭირვებია, რომ ტურნირი საკმაოდ მასობრივი გამოდგა, მასში 29 გოგონათა და 27 ჭაბუკთა გუნდი — სულ 612 მოსწავლე მონაწილეობდა. შეჯიბრება 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონების სპორტსკოლების სარბიელზე ჩატარდა. კარგად გაართვა თავი მოვალეობას მსაჯთა კოლეგიამ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ ვ. გელაძის თავკაცობით და საერთოდ სპორტსკოლის მთელმა კოლექტივმა, რომელიც კარგად მოემსახურა ამ შესანიშნავ შეჯიბრებას. გაგვახარა იმანაც, რომ ბევრ გუნდში—როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის აღმოჩნდნენ პერსპექტიული სპორტსმენები, რომელთაც სისტემატური მეცადინეობისა და წვრთნის შედეგად შეუძლიათ ოსტატთა გუნდებში გამოსვლა. მაღალ დონეზე ჩატარებულმა ამ შეხვედრებმა ფრენბურთის სპეციალისტებთან ერთად ბავშვებისა და მათი მშობლების უდიდესი ინტერესი გამოიწვია...

აქვე მინდა ერთი ცნობა მივაწოდო ფრენბურთის მოყვარულებს — ამ დღეებში გამართულ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო პირველობაზე საქართველოს გუნდმა (სკოლის დირექტორი გ. იმნაძე, მწვრთნელი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ინატიევი) დიდ წარმატებას მიაღწია. ფინალურ ტურნირში, რომელშიც მოსკოვის, უკრაინის (ორი), ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის გუნდები გავიდნენ, თბილისელმა ჭაბუკებმა საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს. ახლა ჩვენი ფრენბურთელები მონდომებით ემზადებიან საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის — სპორტსკოლების აღსაზრდელთა პირველი საკავშირო თამაშებისათვის, რომელიც ამ ზაფხულს საქართველოში უნდა გაიმართოს.

**არამაის თევოსიანი,**
**ფრენბურთის თბილისის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

# თავი აარიდეს...

**გორის** ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში გამართულ 1973-74 წწ. დაბადებულ მოსწავლე ძიუდოისტთა რესპუბლიკურ პირველობაში თბილისის, ქუთაისის, გორის, მცხეთის, ქარელის, ზესტაფონის, საგარეჯოს, ახმეტის, ტყიბულის, მესტიის 200-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა.

შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბორის გოგიჩაშვილი გახლდათ, საინტერესოდ ჩატარდა და ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა. ამდენად გულსატკენია, რომ მასში მონაწილეობას თავი აარიდეს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა.

მთავარმა მსაჯმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნორჩმა ძიუდოისტებმა არ იციან ჩოქბჯენში ჭიდაობა. არა და, ამ სახეობაში ჩოქბჯენს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ნორჩ ძიუდოისტთა აღმზრდელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩოქბჯენის ტექნიკის დაუფლებას.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: გ. ბაიაძემ (გორი), პ. ნამორაძემ (ახმეტა), რ. გოგლიჩიძემ (ქუთაისი), ო. წივილაძემ (თბილისი), მ. ერისთავმა (გორი), თ. ჯინჭარაძემ (საგარეჯო), ს. ილიევმა (თბილისი), დ. ჭელიძემ (დუშეთი), მ. მიქავამ (თბილისი).

**ილია თევდორაშვილი.**



დღეს თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე იწყება საერთაშორისო შეჯიბრება — „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშება“. მონაწილეობენ: ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, კუბის და სსრ კავშირის უძლიერესი ველოსიპედისტები. სარბიელზე გამოვლენ: ლ. ჰესლიჰი, მ. ჰიუბნერი, რ. კუში (სამივე — გდრ), ს. კოპილოვი, ო. მჭედლიშვილი (სსრკ) და სხვ.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო

### „გაუგზავნელი დეპეშები და წამხდარი საქმე“

თქვენი გაზეთის 1987 წლის 26 მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილი „გაუგზავნელი დეპეშები და წამხდარი საქმე“ განიხილა თბილისის ფოსტამტის ნეგატიური მოვლენების პროფილაქტიკის კომისიამ. ფაქტები დადასტურდა.

კავშირგაბმულობის 62-ე განყოფილების უფროსი რ. ახპანიძე და ტელეგრაფისტი ც. დუგლაძე დაკისრებული მოვალეობის არადამაკმაყოფილებელი შესრულებისა და მუშაობაში დაშვებული გულგრილობისათვის განთავისუფლებული არიან სამუშაოდან.

დასახულია ღონისძიება კონტროლისა და მომთხოვნელობის გაძლიერებისათვის.

**მ. ინაური,**
**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე.**

# ახალგაზრდული გაზეთების პრიზებზე

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სპორტსახკომის ინიციატივით რამდენიმე საინტერესო შეჯიბრებას ჩაეყარა საფუძველი. ერთ-ერთი ასეთია საქართველოს პირველობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გუნდებს შორის კალათბურთსა და მინიფეხბურთში გაზეთების „მოლოდიოჟ გრუზიისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზებზე, რომლის ფინალურ ნაწილს კვირას თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლის კალათბურთელ გოგონათა ნაკრებმა ფინალში სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის გუნდი დაამარცხა — 36:34 და „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზი მოიპოვა.

ჭაბუკთა შორის ეს საპატიო ჯილდო თბილისში დარჩა. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის თანატოლებს დამატებით დროში სძლიეს 51:50. III ადგილი წილად ხვდათ ჭიათურელ მოსწავლეებს.

თუ კალათბურთში ჭიათურელი ჭაბუკები მესამე ადგილს დასჯერდნენ, მინიფეხბურთში უკეთ გამოვიდნენ. ფინალურ მატჩში აშკარად აჯობეს თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ნაკრებს. ჭიათურის მე-13 სკოლის მოსწავლეებმა მასპინძლები დაამარცხეს ანგარიშით 6:2 და „ახალგაზრდა კომუნისტის“ საპატიო პრიზი დაისაკუთრეს. III ადგილი წილად ხვდათ ოჩამჩირელ მოსწავლეებს.

**ჯამლეტ ხუხაშვილი.**



# წინ ნახევარი ტურნირია

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეცხრე-მეათე ტურების მატჩები.

**2 მაისი. ქუთაისი — თელავი 83:58 (56:24). მსაჯები: რ. გოგელია (თბილისი), დ. სადგობელაშვილი (საჩხერე), კომისარი — დ. კილასონია (თბილისი).**

**ქუთაისი:** ი. ვაშაკიძე (27), კოხრეიძე (10), გოქსაძე (8), ლ. ვაშაკიძე (8), კანდელაკი (6), ანდღულაძე (6), წულაძე (5), კორძაძე (4), ხუჯაძე (3), ნაცვლიშვილი (2), გუბელაძე (2), ნადირაძე (2).

**თელავი:** დალელიშვილი (21), ტუხაშვილი (13), ვარდიაშვილი (9), ბოლქვაძე (8), სულხანიშვილი (7).

• • •

**3 მაისი. ქუთაისი — თელავი 80:62 (38:29). მსაჯები: რ. გოგელია (თბილისი), დ. სადგობელაშვილი (საჩხერე), კომისარი — დ. კილასონია (თბილისი).**

**ქუთაისი:** ლ. ვაშაკიძე (12), გოქსაძე (11), ხუჯაძე (9), კოხრეიძე (9), ანდღულაძე (8), კორძაძე (8), ი. ვაშაკიძე (7), ნაცვლიშვილი (6), კანდელაკი (4), წულაძე (4), გუბელაძე (2), ნადირაძე.

**თელავი:** ვარდიაშვილი (16), ტუხაშვილი (14), ბოლქვაძე (12), დალელიშვილი (11), სულხანიშვილი (9).

ქუთაისელთა უპირატესობა ორივე მატჩში აშკარა იყო და მათ სატურნირო ცხრილში მეტად საჭირო ქულები ჩაიწერეს. მეორე ქვეჯგუფში IV ადგილი ქუთაისელმა კალათბურთელებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს.

• • •

**2 მაისი. ბათუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 81:90 (34:48). მსაჯები: რ. გელოვანი (თბილისი), ზ. აბაშიძე (სამტრედია).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (41), ლოლიშვილი (23), მეტრეველი (9), ვიშნიაკოვი (6), ბარამიძე (2), ქლენტი.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** კობეშავიძე (27), ჩერქეზიშვილი (23), ლიპარტელიანი (19), ტომარაძე (16), დათიკაშვილი (3), მაისურაძე (2), დადიანი.

• • •

**3 მაისი. ბათუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 67:69 (41:45). მსაჯები: რ. გელოვანი (თბილისი), ზ. აბაშიძე (სამტრედია).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (24), ლოლიშვილი (22), ქლენტი (9), მეტრეველი (6), ვიშნიაკოვი (4), ბარამიძე (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (18), კობეშავიძე (15), ჩერქეზიშვილი (15), ტომარაძე (13), დადიანი (5), მაისურაძე (3), დათიკაშვილი.

ბათუმელმა კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეორე ქვეჯგუფის ლიდერს. განსაკუთრებით აქტიურად ჩაატარეს მათ მეორე შეხვედრა, რომელიც სტუდენტებმა მხოლოდ 2 ქულით მოიგეს, საინტერესოა ერთი დეტალი: ბათუმელთა გუნდში თამაშის მთელი სიმძიმე უმთავრესად ორ კალათბურთელზე მერაბ ემირიძესა და ლოლიშვილზე გადადის. ამჯერადაც ემირიძემ ორ თამაშში თავის კოლექტივს 65 ქულა შესძინა, ლოლიშვილმა კი — 45.

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

**2 მაისი. რუსთავი — გორი 76:74 (41:46). მსაჯები: მ. ქურიძე, ზ. დიდბარიძე. კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი (ყველა — თბილისი).**

**რუსთავი:** გაჩეჩილაძე (26), ჭანტურიძე (15), ქობულაძე (13), კეჭაყმაძე (12), აბაშიძე (7), გავაშელიშვილი (3).

**გორი:** სამხარაძე (33), სულხანიშვილი (14), ზამთარაძე (11), მჭედლიძე (8), ხაგიური (4), ჩხეტიანი (4).

• • •

**3 მაისი. რუსთავი — გორი 84:77 (49:36). მსაჯები: ა. როსტომაშვილი, ზ. დიდბარიძე (ორივე — თბილისი).**

**რუსთავი:** ჭანტურიძე (22), ქობულაძე (20), აბაშიძე (17), გაჩეჩილაძე (15), კეჭაყმაძე (6), გავაშელიშვილი (4).

**გორი:** სამხარაძე (35), სულხანიშვილი (16), ზამთარაძე (16), მჭედლიძე (6), ჭელიძე (2), ჩხეტიანი (2).

პირველ რიგში რუსთაველთა კარგი მასპინძლობა უნდა აღვნიშნოთ. მსაჯებმაც ფაქტიურად უშეცდომოდ ჩაატარეს ორივე მატჩი. გორელებს [illegible] უკეთ თამაშიც შეეძლოთ, მაგრამ მათ აკლდათ სპორტულ-ტექნიკური კომისიის მიერ დისკვალიფიცირებული ინაური, და მაინც, უნდა ითქვას, რომ სტუმრებმა პირველი შეხვედრა უფრო კარგად ჩაატარეს და მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს.

**2 მაისი. „მართვე“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 88:79 (30:39). მსაჯები: რ. ხომერიკი, ე. კაპანაძე, კომისარი — გ. სვანიძე (ყველა — თბილისი).**

**„მართვე“:** ღლონტი (24), თორთლაძე (16), ცხვედიანი (15), კ. ქართველიშვილი (11), ტურაშვილი (6), გ. ქართველიშვილი (5), ორმოცაძე (3), შენგელია (3).

**„სინათლე“:** სინჯარაძე (25), ქორქია (17), ჩაჩანიძე (13), გურასპაული (8), პ. ჩაჩხიანი (7), ძიძიგური (5), ჯორჯიკია (4).

• • •

**3 მაისი. „მართვე“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 69:99 (25:50). მსაჯები: რ. ხომერიკი, ე. კაპანაძე, კომისარი — გ. სვანიძე (ყველა — თბილისი).**

**„მართვე“:** ცხვედიანი (23), ღლონტი (19), კ. ქართველიშვილი (7), ახვლედიანი (7), უსტიაშვილი (4), თორთლაძე (4), გ. ქართველიშვილი (2), ტურაშვილი (2), შენგელია (1).

**„სინათლე“:** ქორქია (40), შავლოხოვი (21), პ. ჩაჩხიანი (18), ჯორჯიკია (11), რ. ჩაჩხიანი (6), ძიძიგური (3).

პირველი მატჩი „მართვემ“ მართლაც რომ ბრწყინვალედ ჩაატარა. „სინათლის“ შემადგენლობაში არ თამაშობდა დისკვალიფიცირებული ღონღაძე, თუმცა გუნდს სხვა გამოცდილი მოთამაშეებიც ჰყავს, რომლებმაც განმეორებით შეხვედრაში შეძლეს კიდეც რევანშის აღება.

**2 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — სოხუმი 76:72 (31:29). მსაჯები: ა. როსტომაშვილი, გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**„დინამო“:** ქორფაშვილი (22), ცაგარეიშვილი (13), გეგეშიძე (12), დაუშვილი (9), ი. ბაქრაძე (7), მოველიძე (7), ბერიძე (6).

**სოხუმი:** ჯგერენაია (21), სულავა (19), ბალათურია (16), სუშჩენკო (10), ჩუბინიძე (4), პირველი (2).

• • •

**3 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — სოხუმი 85:82 (48:40). მსაჯები: რ. ხომერიკი, ე. კაპანაძე, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**„დინამო“:** გეგეშიძე (17), ქორფაშვილი (17), ი. ბაქრაძე (13), ქურდოვანიძე (12), დაუშვილი (11), მოველიძე (10), ცაგარეიშვილი (3), ბერიძე (2).

**სოხუმი:** ჯგერენაია (33), ბალათურია (26), სულავა (14), სუშჩენკო (7), ზანთარია (2).

ორივე მატჩი უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. სტუმრების შემადგენლობაში განსაკუთრებით ეფექტურად ითამაშა ვეტერანმა ჯგერენაიამ, მაგრამ ვერც მან გადაარჩინა კოლექტივი მარცხს. „დინამომ“ ამ გამარჯვებით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა... ფინალის საგზურებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ჩემპიონატის პირველი ნახევრის დამთავრებამდე ორი თამაშიღა დარჩა. 9 და 10 მაისს მეორე ნახევრის შეხვედრები დაიწყება.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## სპორტულ-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება

ბოლო დროს კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში დისციპლინის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა მოხდა 30 აპრილის „ლელოში“ აღინიშნა ეს ფაქტები. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა ამ დარღვევათა შესახებ და დამნაშავენი მკაცრად დასაჯა.

თბილისის „სინათლისა“ და ქუთაისის კალათბურთელთა მერვე ტურის მატჩში თბილისელი ზაზა ღონღაძე უხეშად მოექცა მსაჯს გაიოზ ოსიაშვილს. „სინათლის“ კოლექტივმა იმსჯელა ამ საკითხზე და ზაზა ღონღაძეს ჩემპიონატის დამთავრებამდე პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ეს სასჯელი ლმობიერად ჩათვალა და წესრიგის დამრღვევ კალათბურთელს დამატებით 2 თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

თავის მხრივ მკაცრად დაისაჯა ამ შეხვედრის არბიტრი გაიოზ ოსიაშვილიც. უპრინციპობისა და სუსტი მსაჯობისთვის იგი ჩემპიონატის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული.

სოხუმისა და გორის კალათბურთელთა შეხვედრაში გორის გუნდის წევრმა ზვიად ინაურმა მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მას ოთხი თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა (თანაც პირობით დისკვალიფიკაცია წლის ბოლომდე).

სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ თბილისის „დინამოს“ იმ კალათბურთელებს, რომლებიც რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამოდიან, თხოვნით მიმართა: გამოიყენონ თავიანთი ავტორიტეტი, გამოცდილება და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მსაჯებს მატჩების ნორმალურად ჩატარებაში.



# VIII ტურის სტატისტიკა

**2 მაისს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის მატჩები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.**

**„სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0).** დაწინაურდნენ დინამოელები (მოროზოვი), საპასუხო ბურთი გაიტანა პასულკომ.

გააფრთხილეს სილკინი („დინამო“) და ხიდიატულინი („სპარტაკი“).

დუბლიორები — 2:0.

**„ქაირათი“ — „ნეფთჩი“ 3:1 (3:1).** პირველი ბურთი 22-ე წუთზე გაიტანა ბაქოელმა ჯავადოვმა. ფეხლევანიდიმ წუთის შემდეგ გაქვითა გოლი, 41-ე წუთზე ლედოვსკიხმა დააწინაურა მასპინძლები, 44-ე წუთზე კი „ქაირათის“ გამარჯვება განამტკიცა იმავე ფეხლევანიდიმ.

მატჩის არბიტრს პ. კობიჩიკს (ჩერნოვცი) ოთხჯერ მოუხდა ყვითელი ბარათის ამოღება: გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელები ტიმოფეევი და რაფიკოვი, აგრეთვე, ბაქოელები კასუმოვი და ბელიალოვი.

დუბლიორები — 3:0.

**„ტორპედო“ — „დნეპრი“ 1:0 (0:0).** დნეპროპეტროვსკელთა კარში ბურთი 61-ე წუთზე გაიტანა ი. სავიჩევმა.

გააფრთხილეს „დნეპრის“ ფეხბურთელი კუდრიცკი.

დუბლიორები — 0:0.

**„მეტალისტი“ — „შახტიორი“ 1:0 (0:0).** გოლი — ბარანოვი („მეტალისტი“).

დუბლიორები — 0:0.

**„დინამო“ (კიევი) — ცსკა 1:2 (1:2).** მატჩის ბედი პირველ 4 წუთში გადაწყდა. არმიელმა ფეხბურთელებმა ბროშინმა და ტატარჩუკმა ზედიზედ ორჯერ აიღეს კიეველთა კარი, 34-ე წუთზე კი მიხაილიჩენკომ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა.

გააფრთხილეს არმიელები ფოკინი და ნოვიკოვი.

დუბლიორები — 6:1.

**„ზენიტი“ — „არარატი“ 0:0 (0:0).** გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ლენინგრადელი მიმომხილველი გ. პოპოვი აღნიშნავს, რომ მოსკოველმა არბიტრმა ა. ლუნინმა თავი ვერ გაართვა მსაჯობას, ვერ ალკვეთა უხეშობა, გარდა ამისა, არასწორად მიიჩნია „თამაშგარე მდგომარეობა“, როცა ერევნელმა აკოფიანმა სწორად გაიტანა ბურთი „ზენიტის“ კარში. „არარატის“ ფეხბურთელებმა იმდენად ენერგიულ ფორმებში გამოხატეს თავიანთი პროტესტი, რომ ა. ლუნინი იძულებული იყო გაქცევით ეშველა თავისთვის.

გააფრთხილეს ერევნელი მხითარიანი და ლენინგრადელები დოლგოპოლოვი და კანიშჩევი.

დუბლიორები — 3:1.

● **ბანვლილი** ტურის 8 მატჩში სულ 13 ბურთი გავიდა, ფრეც საკმარისად იყო — 4, მათგან სამი — ნულოვანია. 16 გუნდიდან რვამ ვერ შეძლო ბურთის გატანა.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა „დავაში“ დაწინაურდა ცსკა-ს თავდამსხმელი ვ. ტატარჩუკი, რომლის ანგარიშზე 5 ბურთია. 4-4 გოლი გაიტანეს სპარტაკელმა ვ. პასულკომ და ს. როდიონოვმა, აგრეთვე, ტორპედოელმა ი. სავიჩევმა.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 6 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 6 | 0 | 2 | 21-9 | 12 |
| „დნეპრი“ | 8 | 4 | 2 | 2 | 13-9 | 10 |
| „ჟალგირისი“ | 7 | 3 | 4 | 0 | 8-4 | 10 |
| „დინამო“ მნ. | 8 | 4 | 1 | 3 | 17-10 | 9 |
| „ქაირათი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 14-14 | 9 |
| „ზენიტი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 14-12 | 9 |
| ცსკა | 8 | 4 | 0 | 4 | 12-14 | 8 |
| „ნეფთჩი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 6-15 | 8 |
| „შახტიორი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 6-3 | 7 |
| „ტორპედო“ | 8 | 1 | 5 | 2 | 3-3 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 7 | 2 | 2 | 3 | 11-13 | 6 |
| „გურია“ | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 6 |
| „მეტალისტი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 6 |
| „დინამო“ კ. | 4 | 2 | 0 | 2 | 11-7 | 4 |
| „დინამო“ მ. | 7 | 1 | 2 | 4 | 5-9 | 4 |
| „არარატი“ | 8 | 1 | 1 | 6 | 9-20 | 3 |

ევროპის საკლუბო ტურნირები

# დღეს პირველი მატჩია



დღეს შვეციის ქალაქ გეტებორგში გაიმართება უეფა-ს თასის პირველი ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „გეტებორგი“ და შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი“.

ნახევარფინალებში შვეციის ფეხბურთელებმა ორჯერ დაამარცხეს ავსტრიის „ტიროლი“ — 4:1 და 1:0, ხოლო „დანდი იუნაიტედმა“ შინ ფრედ ითამაშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ (0:0), მეტოქის მინდორზე კი გაიმარჯვა — 2:0.

უეფა-ს ფინალისტთა საპასუხო მატჩი 20 მაისს შედგება შოტლანდიის ქალაქ დანდიში.

# მიშელ პლატინის ბოლო სეზონი

ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე გამორჩენილ ფეხბურთელად ფრანგებს მიშელ პლატინი მიაჩნიათ, წლების მანძილზე სათავეში რომ ედგა საფრანგეთის ნაკრებს, ისე კი კარგა ხანია იტალიის „იუვენტუსში“ თამაშობს.

ფრანგულმა გაზეთმა „პროვანსალმა“, რომელიც მარსელში გამოდის, გამოაქვეყნა ცნობა, რომ მ. პლატინი სულ მალე დაამთავრებს იტალიის ჩემპიონატს, 16 ივნისს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში უკანასკნელად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ნორვეგიის გუნდთან და ივლისიდან საერთოდ შეწყვეტს თავის საფეხბურთო კარიერას.

მ. პლატინის განზრახული აქვს საფრანგეთის სამხრეთის ქალაქ კასისში დასახლდეს, მიუხედავად მრავალი კლუბის წინადადებისა 32 წლის ფეხბურთელმა უარი თქვა ყოველგვარ ახალ კონტრაქტზე და „პენსია“ ამჯობინა. გაზეთი აღნიშნავს, რომ მ. პლატინი ახლაც მთელი შესაძლებლობით ცდილობს უწინდებურად ითამაშოს, მაგრამ ყველა კარგად ხედავს, რომ მან სისწრაფეც დაკარგა და რეაქციაც.

და, მაინც, მ. პლატინის საბოლოოდ არ სურს გაწყვიტოს კავშირი ფეხბურთთან, იგი მოელაპარაკა „მარსელის“ ცნობილ მწვრთნელს მ. იდალგოს, რათა მონაწილეობა მიიღოს მისი კლუბის საწვრთნელ მეცადინეობებში. მთავარი ისაა, რომ მიშელ პლატინიმ ასოციაცია შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ნარკომანები დაუბრუნოს ნორმალურ ცხოვრებას.

# ფინალს მონაწილეები დააკლდა

დასასრული

ტურნირის დამთავრების შემდეგ (სადაც ოქროს მედალი მოიპოვა) პირდაპირ მოსკოვიდან ჩაფრინდა ბათუმში. მან აქაც კარგად იასპარეზა და თავის ჯილდოებს საქართველოს თასიც მიუმატა. ჯონდო, რომელსაც ფინალის ორ ვარჯიშში მოეცარა ხელი, მეორე ადგილს დასჯერდა.

ძალისმიერ წყვილთა შეჯიბრებაში რუსთაველებმა დავით სამუნაშვილმა და ალექსანდრე ტოლინჯიშვილმა (მწვრთნელი ალექსანდრე კაზარიანი) თითქმის ხუთი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ თბილისელ სპორტსმენებს — ზაზა ნინუას და ზვიად კვაჭაძეს. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში (ფინალში), როგორც ალვნიშნეთ, ალექსანდრე მავრანგელოვის აღსაზრდელებს თბილისელ ემზარ აბუაშვილს, დიმიტრი კარტოზიას, ვაჟა არაყიშვილს და ილია გოგორიშვილს მეტოქე არ ჰყოლიათ.

ქალთა შორის ასევე ეულად მოუწიათ გამოსვლა დათო გაგოშვილის შეგირდებს თამრიკო ბეროზაშვილს და თინა ვარდიძეს. კესო მაისურაძემ, ირმა ჩოქურმა და ლია ალავერდაშვილმა (მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი) ჯგუფურ ვარჯიშში დიდი უპირატესობით, თითქმის 20 ქულით გაუსწრეს ქუთაისის სამეულს შორენა ასათიანს, ვენერა კოხრეიძეს და თინა გაბელაშვილს. თვალსაჩინო უპირატესობით მოიგეს შერეულ წყვილთა შორის გამართული შეჯიბრებაც თბილისელებმა ჰამლეტ ღარიბოვმა და კარინა სარქისიანმაც (მწვრთნელი ვლადიმერ გურგენიძე). მათ დაამარცხეს თანაქალაქელები რომანოზ კუხალეიშვილი და ირინა ოვოიანი, რომლებიც ფინალში ძალიან სუსტად გამოვიდნენ.

გუნდურ პირველ ადგილზე თბილისელები გავიდნენ — 522 და 753, II — რუსთაველები — 308, 531, III — ქუთაისელები —253, 059.

აღსანიშნავია, რომ ყველა გამარჯვებული, ძალისმიერი წყვილის გარდა, აკრობატიკის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი მიხეილ გეგელია) აღზრდილია.

შეჯიბრების კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს სპორტსაზკომის მთავარ მწვრთნელს აკრობატიკაში ნუგზარ ძუკაევს.

— ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს შორის კონკურენცია შესუსტდა. ადრე ბრძოლა შედარებით თანაბარი იყო, დღეს კი პერიფერიის წარმომადგენლებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: თავიანთი უშუალო კონკურენტები დაამარცხონ. ამიტომ გაუსწრო თბილისის გუნდმა მეორე ადგილზე გასულ რუსთაველებს 200-ზე მეტი ქულით, ხოლო ბოლო ადგილზე გასულ აფხაზეთის აკრობატებს კი თითქმის 6-ჯერ. შეჯიბრებაში სულ 69 აკრობატმა მიიღო მონაწილეობა, რაც, ცხადია, ამ რანგის შეჯიბრებას არ შეჰფეროდა. სამწუხაროდ, ადგილობრივი სპორტული კომიტეტები ყურადღებას აღარ აქცევენ იმ სპორტსმენებს, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ ნაკრებში ვერ ხვდებიან. უთუოდ ამის ბრალია ის, რომ აფხაზეთიდან ბათუმში სასპარეზოდ მხოლოდ ოთხი აკრობატი ჩამოვიდა. ამიტომ აღარ გვიკვირს, ამ რეგიონიდან ათ წელზე მეტია ნაკრებში რომ არავინ მოსულა. უფრო მეტი მოეთხოვებათ ბათუმელებს, რომელთაც საუკეთესო სავარჯიშო პირობები აქვთ. ამ შეჯიბრებაზე მათ მხოლოდ 7 აკრობატი გამოიყვანეს. სულ მალე ჩვენი აკრობატები საკავშირო სპორტსაზოგადოებების პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას. ის, ვინც საკავშირო სპორტსაზოგადოების ნაკრებში მოხვდება, ივნისში კალინინში, საკავშირო თასის გათამაშების ფინალში იასპარეზებს. იმედი გვაქვს, დარჩენილ დროს მწვრთნელები რაციონალურად გამოიყენებენ.

**ჯემალ კასრაძე.**



გია მარმარაშვილი.

## ვინ დადის ყველაზე ჩქარა?

**ნიუ-იორკის** ცენტრალური პარკის მოასფალტებული ბილიკები მსოფლიოს უძლიერეს სპორტულ მოსიარულეთა სარბიელად გადაიქცა. აქ გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშება.

ქალები 10-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ტრიუმფული გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ გაიმარჯვეს პირად და გუნდურ პირველობაში. ყველაზე დიდ წარმატებას მსოფლიო ჩემპიონმა (დახურულ დარბაზში ნაჩვენები შედეგით) ნოვოსიბირსკელმა ოლგა კრიშტოფმა მიაღწია. ოლგამ ახალი მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა — 43.22,0, თანაც მთელი 52 (!) წამით გააუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც ჩინელ იან ჰონს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ნიუ-იორკში გამოდიოდა ჰონიც, მაგრამ მსაჯებმა იგი, სპორტული სიარულის წესების დარღვევისათვის, ფინიშის შემდეგ, შეჯიბრებიდან მოხსნეს. მეორე ადგილიც საბჭოთა მძლეოსანმა ირინა სტრახოვამ დაიკავა — 43.35,0.

ვაჟები 20 და 50-კილომეტრიან დისტანციებზე ასპარეზობდნენ. ჩვენი გუნდის წევრებმა პირად პირველობაში გამარჯვება ვერ შეძლეს. მაგრამ საერთო გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო თასი დაისაკუთრეს.

### ისტალია

**იტალია**

კვირას, 28-ე ტურის მატჩი „ნაპოლიმ" კომოში ჩაატარა. ანგარიში „კომოს" თავდამსხმელმა ჯუნტამ გახსნა, მაგრამ 75-ე წუთზე კარნევალემ გადაარჩინა „ნაპოლი" დამარცხებას — 1:1. „ასკოლიმ" სძლია „ინტერს" (1:0). „ნაპოლის" ჩემპიონობის მოსაპოვებლად ბოლო ორ ტურში ორი ქულაც ჰყოფნის.

„მილანმა" „რომასთან" შეხვედრაში უკვე მე-9 წუთზე გაუშვა გოლი (ბონეკი), მაგრამ საბოლოოდ გაანადგურა სტუმრები — 4:1. ერთი ბურთი გაიტანა დონადონიმ, ხოლო სამი — ვირდისმა, რომელიც 17 გოლით სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას და საგრძნობლად გაუსწრო ალტობელის (11 გოლი). „იუვენტუსის" ორ ბურთს (მანფრედონია და სერენა) „სამპდორიამ" მხოლოდ ვიალის გოლით უპასუხა — 2:1.

სხვა შედეგები: „ელასი" (ვერონა) — „ბრეშია" 4:1, „უდინეზე" — „ემპოლი" 3:0, „აველინო" — „ატალანტა" 2:1, „ფიორენტინა" — „ტორინო" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ნაპოლი"** | **28** | **39:19** | **40** |
| **„ინტერი"** | **28** | **32:16** | **37** |
| **„იუვენტუსი"** | **28** | **38:24** | **36** |

**პორტუგალია**

27-ე ტურის შედეგები: „ბენფიკა" — „პორტიმონენსე" 1:1, „ვარზიმი" — „პორტუ" 0:2, „ბოავიშტა" — „რიუ ავე" 1:0, „შავეში" — „სალგეირუში" 4:0, „ვიტორია" (გიმარაეში) — „აკადემიკა" 2:0, „ფარენსე" — „სპორტინგი" 2:1, „მარიტიმუ" — „ბრაგა" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბენფიკა"** | **27** | **47:20** | **45** |
| **„პორტუ"** | **27** | **60:21** | **42** |
| **„ვიტორია"** | **27** | **41:17** | **39** |

**ესპანეთი**

ბარსელონის გუნდების — „ესპანიოლისა" და „ბარსელონის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. მადრიდის „რეალმა" დაამარცხა „მალიორკა" — 3:0. ბურთები გაიტანეს გორდილიომ (2) და მარტინ ვასკესმა. ფრედ (1:1) ითამაშეს ხიხონის „სპორტინგმა" და სარაგოსის „რეალმა". ხიხონელთაგან გოლი მექსიკელმა მანუელ ნეგრეტემ გაიტანა.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„რეალი" (მადრიდი)** | **37** | **65:29** | **55** |
| **„ბარსელონა"** | **37** | **52:22** | **53** |

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**ინგლისი**

შაბათს „კოვენტრი სიტიმ" დაამარცხა „ლივერპული" (1:0). „ევერტონმა" ფრედ (0:0) ითამაშა „მანჩესტერ სიტისთან".

სხვა შეხვედრები: „არსენალი" — „ასტონ ვილა" 2:1, „ჩარლტონ ათლეტიკი" — „ლუტონ თაუნი" 0:1, „ჩელსი" — „ლესტერ სიტი" 3:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „უიმბლდონი" 0:1, „ნოტინგემ ფორესტი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 2:0, „ოქსფორდ იუნაიტედი" — „ნორიჩ სიტი" 0:1, „შეფილდ უენსდეი" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 7:1, „უოტფორდი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ევერტონი"** | **39** | **71:30** | **77** |
| **„ლივერპული"** | **40** | **68:39** | **73** |

**გფრ**

27-ე ტურის შედეგები: „შტუტგარტი" — „ჰამბურგერ შპორტფერაინი" 1:1, „ბლაუ ვაისი" (ბერლინი) — „ფორტუნა" (დიუსელდორფი) 1:2, „ბორუსია" (დორტმუნდი) — „კიოლნი" 1:1, „ბაიერი" (იურდინგენი) — „კაიზერსლაუტერნი" 1:2, „ჰომბურგი" — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) 0:2, „ვალდჰოფი" (მანჰაიმი) — „ვერდერი" (ბრემენი) 1:0, „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „ბოხუმი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბაიერნი"** | **26** | **52:25** | **40** |
| **„ჰამბურგი"** | **27** | **48:27** | **37** |

**ჰოლანდია**

„აიაქსმა" დაამარცხა „აზ-67" 2:0 (რიიკაარდი და ვან ბასტენი), ხოლო „ეინდჰოვენმა" გაიმარჯვა „ტვენტესთან" — 4:0 (2 გოლი გაიტანა ვან დერ ხიიპმა, თითო — კოოლჰოფმა და გულიტმა).

სხვა შეხვედრები: „ფორტუნა" — „უტრეხტი" 1:0, „ვეენდამი" — „ფეიენოორდი" 1:1, „გოუ ეჰედ იგლზი" — „დენ ბოსხი" 0:0, „სპარტა" — „ზვოლე" 2:1, „ექსელსიორი" — „გრონინგენი" 0:0, „დენ ჰააგი" — „როდა" 2:0, „ჰაარლემი" — „ვენლო" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„აიაქსი"** | **29** | **80:20** | **49** |
| **„ეინდჰოვენი"** | **28** | **81:16** | **48** |

**ბელგია**

„ანდერლეხტმა" სძლია ლიეჟის „სტანდარდს" — 4:0. ორი გოლი კრნჩევიჩმა გაიტანა. „მეხელენმა" კორტრიიკში დაამარცხა ადგილობრივი კლუბი (1:0).

სხვა შედეგები: „გენტი" — „ლიეჟი" 1:1, „ბერჰემი" — „ანტვერპენი" 0:5, „სერანჟი" — „ვარეგემი" 0:0, „მოლენბეკი" — „რესინგ იეტი" 1:1, „ბევერენი" — „სერკლ ბრიუგე" 2:0, „ბრიუგე" — „ბეერსხოტი" 4:2, „შარლერუა" — „ლოკერენი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ანდერლეხტი"** | **30** | **78:23** | **50** |
| **„მეხელენი"** | **30** | **48:11** | **49** |

**საფრანგეთი**

33-ე ტურის შედეგები: „ბორდო" — „ტულუზა" 2:3, „ნანტი" — „ოლიმპიკი" (მარსელი) 0:2, „სოშო" — „მონაკო" 2:1, „რენი" — „ლავალი" 1:2, „რასინგი" (პარიზი) — „ოსერი" 3:0, „ლილი" — „ბრესტი" 2:1, „ტულონი" — „სენტ-ეტიენი" 2:1, „ნიცა" — „მეცი" 3:1, „ნანსი" — „პარი სენ ჟერმენი" 0:0, „ლე ავრი" — „ლანი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ოლიმპიკი"** | **33** | **47:22** | **47** |
| **„ბორდო"** | **33** | **50:23** | **46** |

## მესამედ

**ცნობილი** გახდა მოჭადრაკე ვაჟთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი. ეს ტიტული მესამედ მოიპოვა 33 წლის ლვოველმა დიდოსტატმა ალექსანდრე ბელიავსკიმ, რომელმაც დამატებით მატჩში (4 პარტია) აშკარა უპირატესობით მოუგო 24 წლის ლენინგრადელ დიდოსტატს ვალერი სალოვს — 3:1. ბელიავსკიმ ორი პარტია მოიგო და ორიც ყაიმით დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ სალოვმა, რომელიც მეორედ მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატში, ასეთი დიდი წარმატება — ჩემპიონატის ვერცხლის მედალი — პირველად მოიპოვა.

მატჩი მიმდინარეობდა ვილნიუსში.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მე-17 ტირაჟებისა, რომლებიც 26 აპრილს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 888181 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (27 ბარათი) მოგება 2744 მანეთია, ოთხისთვის (1836) — 43, სამისთვის (37799) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 8 530 067 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (81 ბარათი) მოგება 6383 მანეთია, ოთხისთვის (7930) — 105, სამისთვის (201553) — 6.

მოგებათა განაღდება მე-17 ტირაჟებისა იწარმოებს 11 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

სიახლეთა ესტაფეტა

## 25 წელიწადს გაძლებს

**ცნობილმა** დანიელმა მოცურავემ პაულ კაასმა საცურაო აუზების წყლის დეზინფექციის ახალი სისტემა შეიმუშავა. მისი წინადადებით შექმნილმა საცდელმა მოწყობილობამ წარმატებით გაიარა გამოცდა. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ წყალი თანმიმდევრობით გაივლის სამ რეზერვუარს, სადაც ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივები მოსპობს ყველა მიკროორგანიზმს და დაშლის წყალში გახსნილ ქლორს, რომელიც თვალის ლორწოვან გარსს აღიზიანებს. ახალი მოწყობილობის ექსპლოატაცია იაფი ჯდება და იგი 25 წლის განმავლობაში კაპიტალურ შეკეთებას არ მოითხოვს.

### „სპორტპროგნოზი". მე-19 ტირაჟის წყვილები (9-18 მაისი)

| წყვილები | | პროგნოზები | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა) | | | | |
| 1. „შინიკი" (იაროსლავლი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 9.5. | 30 | 30 | 40 |
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა) | | | | |
| 2. „შახტიორი" — „დნეპრი" | 10.5. | 40 | 20 | 40 |
| 3. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) | 10.5. | 50 | 30 | 20 |
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა) | | | | |
| 4. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „პამირი" (დუშანბე) | 12.5. | 60 | 30 | 10 |
| ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი ფეხბურთში (ფინალი) | | | | |
| 5. „აიაქსი" (ჰოლანდია) — „ლოკომოტივი" (გდრ) | 13.5. | 60 | 10 | 30 |
| სსრ კავშირის თასი ფეხბურთში (მეოთხედფინალი) | | | | |
| 6. „დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 14.5. | 50 | 20 | 30 |
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა) | | | | |
| 7. „დნეპრი" — ცსკა | 18.5. | 50 | 10 | 40 |
| 8. „შახტიორი" — „დინამო" (მოსკოვი) | 18.5. | 50 | 10 | 40 |
| 9. „დინამო" (მინსკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | | 40 | 20 | 40 |
| 10. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 18.5. | 30 | 20 | 50 |
| 11. „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) | 18.5. | 40 | 10 | 50 |
| 12. „გურია" (ლანჩხუთი) — „ნეფთჩი" (ბაქო) | 18.5. | 60 | 10 | 30 |
| 13. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი) | 18.5. | 50 | 30 | 20 |

**რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრა და თბილისის 35-ე საფეხბურთო ექსპერიმენტული დღის რეჟიმის გახანგრძლივებული სწავლების საშუალო სკოლა 9 მაისიდან ივნისის ბოლომდე ყოველ შაბათს 16-დან 18 საათამდე ერთობლივად ატარებენ 1981 წელს დაბადებულ ბავშვთა სპორტული ორიენტაციის კონსულტაციებს.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ თბილისის 35-ე სკოლაში. მისამართი: ორჯონიკიძის რაიონი, ქავთარაძის ქ. № 16. მათ თან უნდა იქონიონ მაისური, ტრუსები, კედები ან სპორტული კოსტიუმი.

კონსულტაციას ჩაატარებენ ცნობილი სპეციალისტები: ა. ჭკუასელი, დ. ყიფიანი, რ. ძოძუაშვილი, ა. გუკასიანი, თ. კუბლაშვილი, რ. მახარაძე და სხვ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06903